

სს "საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე და შეცდომიერ არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და
- შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულება გამოვთქვით მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე, ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოთხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286).

შპს ფი-ქეი-ეფ ჯორჯია (SARAS-F-798362)

15 აპრილი, 2024

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულება გამოვთქვით მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე, ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286).

შპს ფი-ქეი-ეფ ჯორჯია (SARAS-F-798362)
15 აპრილი, 2024
თბილისი, საქართველო

Handwritten signature



სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	5	4,142,815	4,115,105
ძირითადი საშუალებები	6	42,746	54,850
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,185,562	4,169,955
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,801	3,924
წინასწარ გაწეული ხარჯები	8	3,681	660
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	28,439	91,426
სულ მიმდინარე აქტივები		35,921	96,010
სულ აქტივები		4,221,483	4,265,965
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	6,996,257	6,965,809
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	10	(4,651,877)	(2,746,752)
სულ კაპიტალი		2,344,380	4,219,057
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	1,812,368	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	64,734	46,908
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,877,102	46,908
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,221,483	4,265,965

ხელმოწერილი პირები:

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

15 აპრილი, 2024


თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	5	4,142,815	4,115,105
ძირითადი საშუალებები	6	42,746	54,850
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,185,562	4,169,955
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,801	3,924
წინასწარ გაწეული ხარჯები	8	3,681	660
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	28,439	91,426
სულ მიმდინარე აქტივები		35,921	96,010
სულ აქტივები		4,221,483	4,265,965
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	6,996,257	6,965,809
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	10	(4,651,877)	(2,746,752)
სულ კაპიტალი		2,344,380	4,219,057
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	1,812,368	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	64,734	46,908
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,877,102	46,908
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,221,483	4,265,965

ხელმოწერი პირები:


დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

15 აპრილი, 2024
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან		-	-
პროდუქციის თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,108,524)	(468,325)
შრომის ანაზღაურება	14	(663,721)	(726,387)
EBITDA		(1,772,245)	(1,194,712)
ცვეთა და ამორტიზაცია		(20,389)	(16,723)
საოპერაციო მოგება/ზარალი		(1,792,635)	(1,211,435)
არასაოპერაციო შემოსავალი	15	-	4,002
საპროცენტო შემოსავლები	15	9,238	10,740
საპროცენტო ხარჯები	15	(102,368)	-
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	16	(19,360)	(3,123)
მოგება დაბეგვრამდე		(1,905,124)	(1,199,815)
მოგების გადასახადი		-	-
სრული მოგება		(1,905,124)	(1,199,815)

ხელმოწერი პირები:

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

15 აპრილი, 2024

თბილისი, საქართველო


შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან		-	-
პროდუქციის თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,108,524)	(468,325)
შრომის ანაზღაურება	14	(663,721)	(726,387)
EBITDA		(1,772,245)	(1,194,712)
ცვეთა და ამორტიზაცია		(20,389)	(16,723)
საოპერაციო მოგება/ზარალი		(1,792,635)	(1,211,435)
არასაოპერაციო შემოსავალი	15	-	4,002
საპროცენტო შემოსავლები	15	9,238	10,740
საპროცენტო ხარჯები	15	(102,368)	-
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	16	(19,360)	(3,123)
მოგება დაბეგვრამდე		(1,905,124)	(1,199,815)
მოგების გადასახადი		-	-
სრული მოგება		(1,905,124)	(1,199,815)

ხელმოწერილი პირები:


 დირექტორის მოვალეობის
 შემსრულებელი

15 აპრილი, 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	5,572,652	(1,546,937)	4,025,715
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(1,199,815)	(1,199,815)
კაპიტალის ცვლილება	1,393,157	-	1,393,157
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	6,965,809	(2,746,752)	4,219,057
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(1,905,124)	(1,905,124)
კაპიტალის ცვლილება	30,448	-	30,448
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	6,996,257	(4,651,877)	2,344,380

ხელმომწერი პირები:

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

15 აპრილი, 2024
თბილისი, საქართველო


შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	5,572,652	(1,546,937)	4,025,715
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(1,199,815)	(1,199,815)
კაპიტალის ცვლილება	1,393,157	-	1,393,157
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	6,965,809	(2,746,752)	4,219,057
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(1,905,124)	(1,905,124)
კაპიტალის ცვლილება	30,448	-	30,448
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	6,996,257	(4,651,877)	2,344,380

ხელმოწერი პირები:


დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

15 აპრილი, 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერი

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადამდე	(1,905,124)	(1,199,815)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	(20,389)	(16,723)
საკურსი მოგება/ზარალი(ნეტო)	(19,360)	(3,123)
საპროცენტო შემოსავალი	9,238	10,740
საპროცენტო ხარჯი	(102,368)	-
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	(2,038,003)	(1,208,920)
ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	-	-
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	123	(3,924)
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	34,660	46,300
ზრდა/შემცირება საგადასახადო აქტივებში	-	5,457
ზრდა/შემცირება წინასწარ გაწეულ ხარჯებში	(3,021)	(660)
სამუშაო კაპიტალის ცვლილება	31,763	47,173
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,006,241)	(1,161,747)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	29,756	(7,260)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(24,974)	(309,499)
მიღებული პროცენტი	(9,238)	(10,740)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,456)	(327,499)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	1,914,736	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	30,448	1,393,157
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,945,184	1,393,157
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	2,526	3,619
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა/კლება	(65,513)	(96,089)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	91,426	183,896
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	28,439	91,426

ხელმოწერი პირები:

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

15 აპრილი, 2024
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერი

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადამდე	(1,905,124)	(1,199,815)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	(20,389)	(16,723)
საკურსი მოგება/ზარალი(ნეტო)	(19,360)	(3,123)
საპროცენტო შემოსავალი	9,238	10,740
საპროცენტო ხარჯი	(102,368)	-
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	(2,038,003)	(1,208,920)
ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	-	-
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	123	(3,924)
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	34,660	46,300
ზრდა/შემცირება საგადასახადო აქტივებში	-	5,457
ზრდა/შემცირება წინასწარ გაწეულ ხარჯებში	(3,021)	(660)
სამუშაო კაპიტალის ცვლილება	31,763	47,173
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,006,241)	(1,161,747)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	29,756	(7,260)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(24,974)	(309,499)
მიღებული პროცენტი	(9,238)	(10,740)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,456)	(327,499)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	1,914,736	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	30,448	1,393,157
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,945,184	1,393,157
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	2,526	3,619
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა/კლება	(65,513)	(96,089)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	91,426	183,896
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	28,439	91,426

ხელმოწერი პირები:


დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

15 აპრილი, 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ (შემდგომში - „ბირჟა“) დაფუძნდა ბირჟის საერთო კრების 2019 წლის 29 ნოემბრის #1/2019 ოქმის საფუძველზე. საზოგადოების რეგისტრაცია განხორციელდა 2019 წლის 4 დეკემბერს (საიდენტიფიკაციო კოდი - 404589432).

საზოგადოების პარტნიორები არიან სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „სსე“) და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში - „ესკო“), 50%-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

საზოგადოებას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- გიორგი ჩიქოვანი (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)
- კახაბერ ქეზურია - სსე;
- ზაზა დვალაშვილი - ესკო.

საზოგადოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, - საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“, სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები და საზოგადოების წესდება.

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრის ოპერირება, ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირება. საზოგადოებაზე, შესაბამისი ორგანიზებული ბაზრების ოპერატორის ფუნქციების განსახორციელებლად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 მაისის #39/2 გადაწყვეტილებით გაიცა დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერირების ლიცენზია.

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდს 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ამ პერიოდში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები განზოგადებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პერიოდის დასასრულისთვის; პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში; პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში; ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მოტანილია დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ფასს-ით.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებზე დაყრდნობით:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“;
- საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ სამოქმედოდ დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს).

ამასთან, საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებს (ფასს). თუ ფასს-ში ან ზემოხსენებულ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში მიღებული ცვლილება ან საზოგადოების კონკრეტული ქმედება გავლენას ახდენს საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკაზე, მაშინ საზოგადოებას შეაქვს შესაბამისი ცვლილება მის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

კომპანია რეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკუროსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

რადგან 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) დანერგვა

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგებები მოამზადა 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული IFRS სტანდარტების მიხედვით, შედარების მიზნებისთვის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მონაცემების ჩათვლით, როგორც ამას მოითხოვს სააღრიცხვო პოლიტიკა.

შესაბამისად მოცემული ფინანსური ანგარიშგებები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის არ არის პირველი, რომელიც კომპანიამ მოამზადა IFRS-ის შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების

მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფული და ანგარიშსწორება

საზოგადოებას გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიში კომერციულ ბანკში, რომელიც გამოიყენება ყოველდღიური საბანკო ოპერაციებისთვის. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე საზოგადოებას უფლება აქვს გახსნას დამატებითი ანგარიშები, დეპოზიტები, შეიძინოს ფასიანი ქაღალდები, ისარგებლოს სხვა ფინანსური ინსტრუმენტებით, რომლებსაც სთავაზობს იგივე ბანკი ან/და სხვა კომერციული ბანკები. ამასთან, საზოგადოებას კომერციული ბანკ(ებ)ი უწევს სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურებასაც, რომელთა არასრული სიაში შეიძლება შედიოდეს: ფასიანი ქაღალდების ფაქტორინგი, გირაოს მართვა, მომხმარებლებისა და მომწოდებლების სპეც-ანგარიშების მონიტორინგი, საბანკო გარანტიებისა განაღდება, ელექტრონული მომსახურება და სხვა. ნებისმიერი მსგავსი მომსახურების ამოქმედებისთანავე საზოგადოებას შეაქვს ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შესაბამისი ცვლილებები და დამატებები მის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

მიმდინარე ანგარიშის დადებით ნაშთზე სარგებლის დარიცხვა ხორციელდება საბანკო დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად.

ბანკიდან ნაღდი ფულის გამოტანა და შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თანხის მიღების და გადახდის ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ ბანკის მეშვეობით. საზოგადოების საქმიანობის ფარგლებში სხვადასხვა ორგანიზაციებსა და საზოგადოებას შორის ოპერაციების განხორციელების შედეგად თანხების მიღება ხდება საზოგადოების ანგარიშებზე ჩარიცხვის მეშვეობით. იგივენაირად, ფულადი სახსრების გასვლა (გადარიცხვა) ხორციელდება ინტერნეტ ბანკის მეშვეობით საზოგადოების უფლებამოსილი პირის მიერ. ჩარიცხული და გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია როგორც ფიზიკური დოკუმენტაციის სახით, აგრეთვე, ელექტრონულადაც არის ხელმისაწვდომი ინტერნეტ და მობილ ბანკის გვერდებზე, საიდანაც თითოეული ჩარიცხვა ტარდება ბუღალტრულ სისტემაში შესაბამის საბუღალტრო ანგარიშზე.

ბუღალტრულ სისტემაში შეტანილი გატარებების სისწორის კონტროლის მიზნით, ყოველი თვის ბოლოს ხდება საბანკო ანგარიშების საბუღალტრო ბარათების შედარება ბანკის ამონაწერთან, როგორც გასული თანხების (ხელფასი, მივლინება, კრედიტორული დავალიანება, გადასახადები, გადარიცხვები), ასევე შემოსული თანხების.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც

არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის საზოგადოების განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება საზოგადოების მიერ საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევისთვის ან/და გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის და მოსალოდნელია ამ აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის მიღება, ამასთან, მათი გამოყენების ვადა აღემატება ერთ სააღრიცხვო პერიოდს. არამატერიალური აქტივი არის ისეთი აქტივი, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური ფორმა, მაგრამ საზოგადოებისთვის ღირებულებას წარმოადგენს. არამატერიალური აქტივი იმავე წესით აღირიცხება, როგორც მატერიალური აქტივი. საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე შეძენილი ან საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივების მაგალითებია: პროგრამული უზრუნველყოფა, ლიცენზიები, პატენტები, კვოტები, ფრანშიზა, საავტორო უფლებები და სხვა.

აქტივების ღირებულებაში შეიტანება და შემოსავალში აიღება მათი შეძენის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯი, აგრეთვე, სხვა ხარჯი, რომელიც ზრდის მის ღირებულებას, მათ შორის, საიმპორტო ბაჟი, უკან ამოღებას დაუქვემდებარებელი გადასახადები, ტრანსპორტირებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯები. ამასთან ძირითად საშუალებად აქტივი აღიარდება მისი მხოლოდ ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ.

საკუთარი ძალით, სამეურნეო წესით შექმნილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება მისი შექმნის ფაქტობრივი თვითღირებულებით.

დანახარჯი, რომელიც გაწეულ იქნება ძირითადი საშუალებების უკვე აქტივად აღიარების შემდეგ, მხოლოდ მაშინ დაემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, თუ ამ დანახარჯის შედეგად საზოგადოება მიიღებს მეტ ეკონომიკურ სარგებელს, ვიდრე არსებული ძირითადი საშუალებების ამოსავალი ნორმატიული მწარმოებლობის პირობებში. სხვა შემთხვევაში, ეს დანახარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება ხარჯის სახით მისი გაწევისთანავე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა იანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით ანუ პირვანდელ ღირებულებას (ცვეთადი ღირებულება) აკლდება სალიკვიდაციო ღირებულება და მიღებული სხვაობა იყოფა ექსპლუატაციის ვადაზე.

დამოუკიდებელი ექსპერტის (აუდიტის) მიერ არანაკლებ წელიწადში ერთხელ ტარდება საზოგადოების მატერიალური და არამატერიალური აქტივების გადაფასება. როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ეს გაზრდა უშუალოდ აისახება საკუთარ კაპიტალში როგორც შემოსავალი. როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, ეს შემცირება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება ხარჯის სახით.

საწყისი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

- საოფისე აღჭურვილობა 20%.
- ავეჯი და მოწყობილობები 20%.

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

- სააღრიცხვო პროგრამა 15%.
- ლიცენზირებული სისტემა Microsoft Corporation / Microsoft Windows 20%.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწრა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

კაპიტალის მართვა

საზოგადოების კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს საზოგადოების საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და მოიპოვოს ენერგეტიკული ბირჟის მონაწილეთა ნდობა.

სააქციო კაპიტალი

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ფორმირება ხორციელდება აქციონერთა მიერ ფულადი და არაფულადი შენატანების საფუძველზე. ამასთან, არაფულადი შენატანი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი ობიექტების, აგრეთვე სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის სახით. კაპიტალში არამატერიალური შენატანის ღირებულებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი ექსპერტი (აუდიტი). საზოგადოებას განთავსებული აქვს ჩვეულებრივი ტიპის აქციები, რომელთა (თითოეული) ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს და აწარმოებს აქციათა რეესტრს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით.

- სულ ნებადართული აქციების რაოდენობა შეადგენს 7 034 179 ჩვეულებრივ აქციას.
- ერთი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 (ერთი) აქცია 1 (ერთი) ლარი.
- გამოშვებული აქციების რაოდენობა 7 034 179 აქცია.
- მიმოქცევაში გაშვებული აქციების რაოდენობა პერიოდის ბოლოსათვის 7 034 179 აქცია.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელსაც მათი მოხდენის თარიღი მიეკუთვნება. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური. აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება

და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასახდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ რომელიმე სხვა ფასს არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში.

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საგადასახადო აღრიცხვა, აქტივები და ვალდებულებები

საზოგადოება რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად და საგადასახადო ორგანოებში წარსადგენ დეკლარაციებს ამზადებს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო აქტივები მოიცავს საზოგადოების მიერ საგადასახადო ორგანოებისათვის წინასწარ ან ზედმეტად გადახდილ გადასახადებს, რომელთა გამოყენება/დაქვითვა მოხდება მომავალში იგივე ან სხვა სახის საგადასახადო ვალდებულებების დასაფარად ან მოთხოვნილი იქნება ასანაზღაურებლად. საგადასახადო ვალდებულებები შედგება საგადასახადო ორგანოების მიმართ დარიცხული ვალდებულებების, ჯარიმებისა და საურავებისგან, რომლებიც ჯერ არ არის გადახდილი.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ოპერაციების არასრული სია მოიცავს:

- გადასახადების გატარებას საბუღალტრო სისტემაში;
- დღგ-ის რეესტრის წარმოებას;
- საბიუჯეტო ნაშთების კონტროლს;
- ჩასათვლედი თანხების განსაზღვრასა და მათი შესაბამისობის დადგენას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან;
- საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვას;
- სხვა კანონმდებლობით მოთხოვნილ ოპერაციებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი,

რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ფინანსურ ანგარიშგებებში მოგებიდან გადასახადი ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო

ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

შემოსავლები შემოწირულობიდან

შემოსავალი შემოწირულობიდან აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შემოწირულობის საფუძველზე. შემოსავლის აღიარება ხდება საკასო მეთოდით

ფინანსური ლიზინგი

ახალ სტანდარტში წარმოდგენილია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და ლიზინგების ასახვის პრინციპები. ყველა ლიზინგი იწვევს იმას, რომ მოიჯარე, იღებს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის დასაწყისშივე, და თუ იჯარის გადახდა ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16 აფასებს იჯარების საოპერაციო ლიზინგად ან ფინანსურ ლიზინგად კლასიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად, შემოაქვს ერთი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეებმა უნდა აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტ ვადიანი ლიზინგებისთვის, თუ წარმოდგენილი აქტივი დაბალ ღირებულებიანი არ არის; და (ბ) იჯარით გაცემული აქტივის ცვეთა იჯარის ვალდებულებებზე პროცენტისგან ცალკე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფასს 16-ს არსებითად გადააქვს მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნები ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს მისი იჯარების საოპერაციო ლიზინგებად ან ფინანსურ ლიზინგებად კლასიფიკაციას, და სხვადასხვაგვარად უდგება ამ ორი ტიპის ლიზინგს. მენეჯმენტი 2020 წლიდან იყენებს IFRS 16-ს საკუთარ ანგარიშგებებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები რომლებიც ძალაშია 2018 და 2019 წლის პირველი იანვრიდან.

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა ("IASB") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს ("IFRIC") მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ცვლილებები ბასს 8-ში - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განმარტება
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - სააღრიცხვო პოლიტიკის ასახვა განმარტებით შენიშვნებში;
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - ერთჯერადი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი
- Amendments to IAS 12 Income Taxes – Deferred Tax Assets and Liabilities related to Pillar Two Income Taxes.
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაბაგვერა მოგების გადასახადით პილარ 2 მიდგომით.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტებითა და განახლებები მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ იქონიებს.

- ცვლილებები ფასს 16-ში - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებში უკუიჯარის პირობებით;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია შეზღუდვებით/კოვენანტებით;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები;
- ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 10-ში - ინვესტორის მიერ აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში.

სს "საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა"
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

5. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	ენერგობაზრის სავაჭრო პლატფორმის განვითარება	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება				
ბალანსი 31.12.2021	-	3,802,921	880	3,803,801
შეძენა	6,733	303,157	3,725	313,614
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	6,733	4,106,078	4,604	4,117,415
შეძენა	-	30,448	-	30,448
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	6,733	4,136,526	4,604	4,147,863
ამორტიზაცია				
ბალანსი 31.12.2021	-	-	(253)	(253)
ამორტიზაცია	(1,414)	-	(644)	(2,058)
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	(1,414)	-	(897)	(2,311)
ამორტიზაცია	(2,046)	-	(691)	(2,737)
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	(3,460)	-	(1,588)	(5,048)
ბალანსი 31.12.2021	-	3,802,921	627	3,803,548
ბალანსი 31.12.2022	5,319	4,106,078	3,707	4,115,105
ბალანსი 31.12.2023	3,273	4,136,526	3,016	4,142,815

6. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება			
ბალანსი 31.12.2021	35,770	11,913	47,683
შეძენა	35,459	1,130	36,590
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	71,229	13,043	84,273
შეძენა	5,548	-	5,548
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	76,778	13,043	89,821
ცვეთა			
ბალანსი 31.12.2021	(10,283)	(4,474)	(14,757)
ცვეთა	(12,230)	(2,435)	(14,665)
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	(22,513)	(6,909)	(29,422)
ცვეთა	(15,045)	(2,608)	(17,652)
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	(37,557)	(9,517)	(47,075)
ბალანსი 31.12.2021	25,487	7,439	32,926
ბალანსი 31.12.2022	48,717	6,134	54,850
ბალანსი 31.12.2023	39,220	3,526	42,746

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2023	31.12.2022
ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები	3,801	3,924
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,801	3,924

8. წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	3,198	660
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	483	-
სულ წინასწარ გაწეული ხარჯები	3,681	660

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	28,439	91,423
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1	3
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	28,439	91,426

10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება ორი ნაწილისგან - საწესდებო კაპიტალი, რომლის ნომინალური ღირებულებაა 6,996,257 ლარი და 4,651,877 ლარი დაგროვილი ზარალი. 2023 წელს კომპანიამ განიცადა 1,905,124 ლარის წმინდა ზარალი, რომელიც წარმოდგენილია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. 2022 წლის ბოლოს საწესდებო კაპიტალის წმინდა ღირებულება შეადგენდა 6,965,809 ლარს, 2023 წლის განმავლობაში გაიზარდა - 30,448 ლარით.

11. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები	31.12.2023	31.12.2022
სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	855,000	-
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	855,000	-
სულ მოკლევადიანი სესხები	1,710,000	-

გადასახდელი პროცენტი	31.12.2023	31.12.2022
სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	53,242	-
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	49,126	-
სულ გადასახდელი პროცენტი	102,368	-

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	59,506	40,382
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5,228	6,527
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	64,734	46,908

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
მივლინება	6,957	17,909
საიჯარო ქირა	120,485	122,051
კომუნიკაციის ხარჯები	11,566	19,319
პროგრამული პაკეტის ხარჯი	51,577	59,978
კომპიუტერის ხარჯები	1,788	253
ფინანსური მომსახურების ხარჯი	62,840	59,249
პერსონალის სწავლება და ტრენინგები	1,364	2,148
საკანცელარიო საქონელი	-	1,135
სხვა საგადასახადო ხარჯი	490	439
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,587	1,370
სხვა საერთო ხარჯები	849,870	184,476
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,108,524	468,325

14. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება	2023	2022
შრომის ანაზღაურება	663,721	726,387
სულ შრომის ანაზღაურება	663,721	726,387

15. არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი

არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი	2023	2022
საპროცენტო შემოსავლები	9,238	10,740
საპროცენტო ხარჯები	(102,368)	-
ნორდ პულ აკადემიიდან მიღებული შემოსავალი	-	1,614
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	2,270
პირგასამტეხლოს სახით მიღებული შემოსავალი	-	118
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი	(93,130)	14,743

16. მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან

მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	2023	2022
მოგება სავალუტო კურსთაშორის სხვაობიდან	10,052	1,960
ზარალი სავალუტო კურსთაშორის სხვაობიდან	(29,412)	(5,083)
სულ მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(19,360)	(3,123)

17. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები

შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

2023	დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	-	1	28,439	28,439
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-	3,801	3,801
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	-	3,681	3,681
სულ ფინანსური აქტივები	-	1	35,920	35,921
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	64,734	64,734
მოკლევადიანი სესხები	-	-	1,812,368	1,812,368
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,877,102	1,877,102
წმინდა პოზიცია	-	1	(1,841,182)	(1,841,181)
2022	დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	-	3	91,423	91,426
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-	3,924	3,924
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	-	660	660
სულ ფინანსური აქტივები	-	3	96,007	96,010
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	46,908	46,908
მოკლევადიანი სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	46,908	46,908
წმინდა პოზიცია	-	3	49,098	49,102

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

2023	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	28,439	-	-	28,439
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3,801	-	-	3,801
წინასწარ გაწეული ხარჯები	3,681	-	-	3,681
სულ ფინანსური აქტივები	35,921	-	-	35,921
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	64,734	-	-	64,734
მოკლევადიანი სესხები	1,812,368	-	-	1,812,368
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,877,102	-	-	1,877,102
წმინდა პოზიცია	(1,841,181)	-	-	(1,841,181)
2022	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	91,426	-	-	91,426
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3,924	-	-	3,924
წინასწარ გაწეული ხარჯები	660	-	-	660
სულ ფინანსური აქტივები	96,010	-	-	96,010
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	46,908	-	-	46,908
მოკლევადიანი სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	46,908	-	-	46,908
წმინდა პოზიცია	49,102	-	-	49,102

18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31.12.2023		31.12.2022	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3,801	3,801	3,924	3,924
წინასწარ გაწეული ხარჯები	3,681	3,681	660	660
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	64,734	64,734	46,908	46,908
მოკლევადიანი სესხები	1,812,368	1,812,368	-	-

19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

20. საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

სს "საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა"
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(გ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის შინაარსი	2023	2022
სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"	ფულადი შენატანი კაპიტალში მიღებული სესხი	-	770,000
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	ფულადი შენატანი კაპიტალში არაფულადი შენატანი კაპიტალში მიღებული სესხი	855,000	-
		-	320,000
		30,448	303,157
		855,000	-

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან გავემული სახელფასო ხარჯები:

	2023	2022
მენეჯმენტის ხელფასი	234,600	298,100
სულ	234,600	298,100

22. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას დაფუძნებიდან გააჩნია უარყოფითი გაუნაწილებელი მოგება, ანუ არის ზარალიანი, ფუნქციონარობადობის უზრუნველსაყოფად კომპანიის მფლობელები მზად არიან უზრუნველყონ საოპერაციო საქმიანობის გაგრძელებისთვის აუცილებელი სახსრები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

2024 წლის 2 თებერვალს ცვლილება მოხდა სენზის აქციონერებში. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ (ესკო) მის მფლობელობაში არსებული სენზის აქციების 50% (ჯამურის 25%) გადასცა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ (სსე). თავის მხრივ, სსე-მ სენზის აქციების 25-25% გადასცა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ (სგტკ) და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ (სნგკ). შედეგად, სენზის ახალი აქციონერები არიან სსე, ესკო, სგტკ და სნგკ, რომლებიც ფლობენ აქციათა 25-25%-ს.

2024 წლის საერთო კრებაზე ოთხი პარტნიორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, მოხდა სენზის განთავსებული კაპიტალი გაიზარდა 10 714 850 ლარამდე.

სენზის გაქვითვის ხელშეკრულებით მოახდინა მისი სასესხო ვალდებულებისა (სრულად, სესხი და დარიცხული პროცენტი) და პარტნიორების, ესკოსა და სსე-ს, მის კაპიტალში შენატანის განხორციელების ვალდებულების გაქვითვა.

ზემოაღნიშნული ცვლილებით შეიქმნა საფუძველი სენზის მიერ ბუნებრივი გაზის ბირჟის ოპერირების განხორციელებისათვის, რადმენადაც, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 სექტემბრის №447 დადგენილებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციაში“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის №145 დადგენილებით შესული ცვლილების შესაბამისადაც, ბუნებრივი გაზის ბირჟა ჩამოყალიბა დაევალა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ თანაბარი წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოს. შესაბამისად, სენზი გეგმავს მომავალ პერიოდში მიმართოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორის ლიცენზიის მისაღებად.


ხელმომწერი პირები:

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

სენზის გაქვითვის ხელშეკრულებით მოახდინა მისი სასესხო ვალდებულებისა (სრულად, სესხი და დარიცხული პროცენტი) და პარტნიორების, ესკოსა და სსე-ს, მის კაპიტალში შენატანის განხორციელების ვალდებულების გაქვითვა.

ზემოაღნიშნული ცვლილებით შეიქმნა საფუძველი სენზის მიერ ბუნებრივი გაზის ბირჟის ოპერირების განხორციელებისათვის, რადმენადაც, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 სექტემბრის №447 დადგენილებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციაში“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის №145 დადგენილებით შესული ცვლილების შესაბამისადაც, ბუნებრივი გაზის ბირჟა ჩამოყალიბა დაევალა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ თანაბარი წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოს. შესაბამისად, სენზი გეგმავს მომავალ პერიოდში მიმართოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორის ლიცენზიის მისაღებად.

ხელმოწერი პირები:



დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი